საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აშოტ I დიდი, კურაპალატი

აშოტ კურაპალატი
ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის ბარელიეფი, IX ს. დასაწყისი

აშოტ I დიდი, კურაპალატი (გ. 29. I. 826, დოლისყანა), ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი. IX ს. 20-იან წლებამდე ქართლის ერისმთავარი იყო. სათავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გადასულიყო შავშეთ-კლარჯეთში, რ-იც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. ა. I ამ ადგილების მფლობელი და ბიზანტ. ვასალი გახდა, მიიღო ბიზანტ. სამეფო კარის კურაპალატის პატივი. განაახლა და რეზიდენციად გაიხადა ციხესიმაგრე *არტანუჯი*, მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები. ამ დროიდან ქართლის პოლიტ. ცენტრმა მთლიანად სამხრეთში გადაინაცვლა, რის გამოც ქართლის ისტორიაში ამ ხანას პირობითად ტაო-კლარჯეთის ან *ქართველთა სამეფოს* პერიოდიც ეწოდება. ა. I მოკლეს შინაგამცემლებმა. მისმა შთამომავლებმა, რ-ებიც „ქართველთა მეფეებად“ იწოდებოდნენ, სათავე დაუდეს ბაგრატიონთა საქართველოს სამეფო დინასტიას.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ა დ რ ი ძ ე შ., „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, «თსუ შრომები», 1965, ტ. 113; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., აშოტ დიდი კურაპალატის ქრონოლოგიისათვის, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის

ისტორიიდან, [ტ.] 8, თბ., 1962; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

შ. ბადრიძე